რომელი გენერატორი გჭირდება,

დიზელის თუ ბენზინის ?..

გენერატორების შედარება ფიზიკურ, ტექნიკურ და საექსპლუატაციო მახასიათებლების მიხედვით

დიზელის გენერატორი

დიდი, მძიმე და მძლავრი

ზოგადად, გენერატორები დიზელის ძრავზე ხასიათდებიან შედარებით დიდი გაბარიტებით და წონით.

დიზელის ძრავი: გუგუნა და ხმაურიანი

დიზელის ძრავი, მისი მუშაობის პრინციპიდან გამომდინარე, 15-30 %-ით უფრო ხმაურიანია ვიდრე ბენზინის ძრავი

დიზელის ძრავი: ხანგრძლივი და უკვდავი

ნაკლები ბრუნი, დიზელის საწვავის სპეციფიკა და ძრავის მუშაობის პრინციპი ზრდის რესურსს, მოტო-საათებს და ამცირებს ცვეთას...

ბენზინის გენერატორი

კომპაქტური და პორტატული

ბენზინის ძრავიანი გენერატორები გამორჩეულად კომპაქტურები, შედარებით მსუბუქები და პორტატულები არიან.

ბენზინის ძრავი: ჩუმი და წყნარი

ბენზინის ძრავიანი გენერატორების ხმაურის დიაპაზონი არის დაახლოებით 65-75 dB-ის ფარგლებში

ბენზინის ძრავი: რთული და სათუთი

მაღალი ბრუნები, საწვავის სიფიცხე და ძრავის საცხ-საპოხის საჭიროება ზრდის ცვეთას და ასევე ზრდის დაზიანების ალბათობას...

დიზელის საწვავი

- არა ფეთქებადსაშიშია
- ოქტანობას ნაკლებად კარგავს
- საჭიროებს 6 თვეში ერთხელ გაშვებას
- იყენებენ დიდი საწვავის ავზებს
- ზამთარში საწვავის სისტემა საჭიროებს შეთბობას
- წვის შედეგად გამოყოფს შედარებით მეტ მავნე ნარჩენ აირებს
- ხანგრძლივი ფუნქციონირებისას დიზელის საწვავი 15-50 % -ით ეფექტურია ბენზინთან შედარებით

დიზელის ძრავიანი გენერატორების პირველადი შესყიდვის ფასი შედარებით მაღალია.

ხანგრძლივი ექსპლუატაციის შემთხვევაში ბევრად ეკონომიური ხდება მისით სარგებლობა.

ბენზინის საწვავი

- ფეთქებადსაშიშია
- ოქტანობას ადვილად კარგავს და საჭიროებს საწვავის შეცვლას
- საჭიროებს მინიმუმ 2-3 კვირაში ერთხელ გაშვებას
- იყენებენ მცირე საწვავის ავზებს
- არაეფექტურია ხანგრძლივი მუშაობისას
- ზამთარში საწვავის სისტემა შეთბობას არ საჭიროებს
- შედარებით სუფთა გამონაბოლქვი

ბენზინის ძრავიანი გენერატორების პირველადი ფასი 30-50 %-ით დაბალია.

ხანგრძლივ ექსპლუატაციაში კი შედარებით ძვირია, საწვავისა და ხშირი სერვისის გამო.

დიზელის ძრავი

დიზელის ძრავიანი გენერატორი სიმძლავრის მოთხოვნის გაზრდას თითქმის შეუმჩნევლად იღებს. მისი ძრავი ნებისმიერი დატვირთვას სტაბილური ფუნქციონირებით ხვდება და არანაირი დაზიანების საფრთხეს არ ქმნის.

დიზელის ძრავიანი გენერატორები შექმნილია თითქმის უწყვეტი ფუნქციონირებისთვის, მაღალი დატვირთვებზე და ყველა კლიმატში სამუშაოდ.

დიზელის ძრავიანი გენერატორები ხასიათდება საიმედოობით, მაღალი რესურსიანობით და დატვირთვებისადმი მდგრადობით.

ბენზინის ძრავი

ბენზინის ძრავიანი გენერატორი სიმძლავრის მოთხოვნის გაზრდას რთულად და შესამჩნევად იღებს.

მისი ძრავი დატვირთვის მატების შესაბამისი დაძაბულობით და ხმაურით იწყებს მუშაობას. მატულობს ტემპერატურა და მუშაობის ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად იზრდება ძრავის გადახურების საფრთხე.

ბენზინის ძრავიანი გენერატორები შექმნილია მოკლე ვადიანი, მსუბუქი ფუნქციონირებისთვის. 3-7 საათიანი ფუნქციონირების შემდეგ აუცილებელია ძრავის დასვენება მინიმუმ 2 საათით.

დიზელის ძრავიანი გენერატორები გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

- გენერატორი არის ძირითადი ელ.მომარაგების წყარო
- გენერატორზე დამოკიდებულება შესაძლებელია გაგრძელდეს მრავალი საათით ან რამდენიმე დღით
- გენერატორზე მოდის ინტენსიური, ცვლადი და მაღალი დატვირთვების მოდება
- გენერატორის გამოყენება ხდება ისეთ ადგილებში სადაც შეუძლებელია ხშირი სერვისი
- გენერატორისგან მოითხოვება მაღალი სიმძლავრეები
- მნიშვნელოვანია მაღალი საიმედოობა და მზადყოფნა ავტომატური გაშვებისთვის

ბენზინის ძრავიანი გენერატორები გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

- გენერატორი არ არის ძირითადი ელ.მომარაგების წყარო
- გენერატორზე დამოკიდებულება შესაძლებელია გაგრძელდეს მაქსიმუმ რამოდენიმე საათით
- გენერატორზე მოდის მსუბუქი, დაბალ ინტენსიური დატვირთვის მოდება
- გენერატორის გამოყენება ხდება ისეთ ადგილებში სადაც ადვილი შესაძლებელია საწვავით და სერვისით უზრუნველყოფა
- გენერატორისგან არ მოითხოვება მაღალი სიმძლავრეები
- გენერატორი გამოიყენება ქსელის დროებით, მოკლე გათიშვების დროს

სარგებლობის სფეროები

დიზელის ძრავიანი გენერატორები

- საწარმოები და სამრეწველო ობიექტები
- კლინიკები და ჰოსპიტლები
- სასტუმროები
- ბიზნეს, სავაჭრო და გასართობი ცენტრები
- დატა-ცენტრები
- სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი საწარმოები
- სატელეკომუნიკაციო ობიექტები
- სამაცივრე-სასაწყობო მეურნეობები
- სახელმწიფო დაწესებულებები

ბენზინის ძრავიანი გენერატორები

- კერძო სახლები და აგარაკები
- მცირე სავაჭრო ობიექტები
- მცირე ტურისტული ობიექტები
- აფთიაქების ფილიალები
- საბანკო-საფინანსო ორგანიზაციის ფილიალები
- მცირე სამშენებლო-სარემონტო ობიექტები
- მცირე საველე-კვლევით ობიექტებზე



დასკვნა: დიზელის იყოს გენერატორი თუ ბენზინის, ეს დამოკიდებულია კონკრეტული ამოცანის, საჭიროების, მოხმარების სფეროს, ინტენსივობის, დატვირთვის და სიმძლავრის, ადგილმდებარეობის, საიმედოობის, პირველადი შესყიდვის და ხანგრძლივი სარგებლობის ღირებულებების, და სხვა მრავალი ფაქტორის შეფასების და შეფარდების შედეგზე.

აღნიშნული საკითხის გარკვევაში და თქვენი ამოცანების ზუსტად ჩამოყალიბებაში დაგეხმარებათ ჩვენი ექსპერტების ჯგუფი. ისინი სრულად შეაფასებენ თქვენს საჭიროებებს და ყველა ფაქტორის გათვალისწინებით მოგიმზადებენ ტექნიკურ წინადადებას.

ინფოგრაფიკა მომზადებულია GENERATORS.GE-ის მიერ,
აპრილი, 2020წ, თბილისი, საქართველო